



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 87

24/01/2019

ქალაქი ბათუმი

87-05-4-201901241150



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეთა ტრანსპორტით და საწვავით უზრველყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 31 დეკემბრის №2185 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნადიმ ვარშანიძის 2019 წლის 17 იანვრის №546/05 მომართვის თანახმად **ვბრძანებ:**

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეთა ტრანსპორტით და საწვავით უზრველყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 31 დეკემბრის №2185 ბრძანებაში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ლ) ავტომანქანა „ფორდესკაპე ჰიბრიდ“ სახელმწიფო ნომერი PRP- 920 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს მალხაზ საღვარიძეს საწვავის თვიური ლიმიტი განისაზღვროს 300 (სამასი) ლიტრის ოდენობით;“.

ბ) ბრძანების მე-7-ე, მე-8-ე, მე-9-ე, მე-10-ე და მე-11-ე პუნქტებში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„7. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას (მინდია დიდმანიძე) - სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 100 (ასი) ლიტრის ოდენობით.

8. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგზრდულ საკითხთა კომისიას (გურანდა დოლიძე) - სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 100 (ასი) ლიტრის ოდენობით.

9. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას (ვახტანგ ლორთქიფანიძე) - სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 100 (ასი) ლიტრის ოდენობით.

10. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიას (მინდია დიასამიძე) - სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 100 (ასი) ლიტრის ოდენობით.

11. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიას (იოსებ ბოლქვაძე) - სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 100 (ასი) ლიტრის ოდენობით.“.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ პირებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

